


საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი



საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტი


ანგარიში 2017|2019



საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი


საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სხვა შესაბამის უწყებებთან ერთად, ახორციელებს საერთაშორისო თანამშრომლობას საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. სამინისტროს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვასა და კოორდინაციაზე პასუხისმგებელია საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, რომლის საქმიანობაც ხორციელდება ქვეყნის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტებისა და ინტერესების შესაბამისად. დეპარტამენტის ამოცანაა სხვადასხვა მიმართულებით საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება და გაღრმავება, ასევე, შს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის ხელშეწყობა. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი უზრუნველყოფს პარტნიორ ქვეყნებსა და ორგანიზაციებთან, როგორც ორმხრივი, ისე, მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარებასა და გამყარებას, ორმხრივი საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის სრულყოფას, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კოორდინაციას, დღონორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, პროექტების მართვას და საერთაშორისო ანგარიშგებას. ინსტიტუციური განვითარების მიზნით დეპარტამენტი ორიენტირებულია სამინისტროში საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებისა და პრაქტიკის დანერგვაზე.

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის სტრუქტურა



ევროინტეგრაცია

2017 წელი იყო გამორჩეული საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე. კერძოდ, 28 მარტიდან საქართველოს მოქალაქეებისთვის ამოქმედდა ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლა.



„დღეს ყველასთვის ისტორიული დღეა და განსაკუთრებით ქართველი ხალხისათვის, რომლებიც ამიერიდან შენგენის ზონაში უვიზოდ გადაადგილებას შეძლებენ. ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებისთვის“

დონალტ ტუსკი, ევროპული საბჭოს პრეზიდენტი

შინაგან საქმეთა სამინისტროს წვლილი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო, როგორც უვიზო რეჟიმის მიღებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარების კუთხით, ისე უვიზო რეჟიმთან დაკავშირებული გამოწვევების საპასუხოდ.

ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის წარმატებით განხორციელების მიზნით და ევროპულ კოლეგებთან მჭიდრო თანამშრომლობით, გატარდა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება შემდეგი მიმართულებებით:



- საზღვრის ინტეგრირებული მართვა;
- უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა/რეადმისიის შეთანხმების განხორციელება;
- ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა;
- საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის გაძლიერება.

2018 წელი განსაკუთრებული იყო იმ ქვეყნებთან თანამშრომლობით, სადაც გახშირდა საქართველოს მოქალაქეების მიერ უვიზო მიმოსვლის ბოროტად გამოყენების შემთხვევები. კერძოდ, გაიმართა არაერთი მაღალი და ექსპერტული დონის შეხვედრა შვედეთთან, გერმანიასთან, საფრანგეთსა და ავსტრიასთან, რათა ქვეყნებთან ინდივიდუალური მუშაობით აღმოფხვრილიყო უვიზო რეჟიმის შეჩერების რისკები.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩართულია 2019 წელს ევროკომისიის მიერ შემუშავებული ოპერაციული ზომების განხორციელებაში, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირის ინსტიტუტებთან თანამშრომლობით საქართველოს მოქალაქეების ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის შედეგად არსებული გამოწვევების აღმოფხვრას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის გამოწვევებისა და სამომავლო ნაბიჯების განსაზღვრის მიზნით, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ინიციატივით, რეგულარულად იმართება შეხვედრა ევროკავშირის წევრი ქვეყნების პოლიციის ატაშეებსა და მიგრაციის საკითხებში მეკავშირე ოფიცრებთან. შეხვედრა, რომელსაც ხელმძღვანელობს მინისტრის მოადგილე, წარმოადგენს წევრ ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის საკითხზე კოორდინაციისა და ინფორმაციის გაცვლის ეფექტიან ფორმატს.



2017-2018 წლებში უვიზო რეჟიმის შენერების მექანიზმის ფარგლებში გამოქვეყნებულ ევროკომისიის ანგარიშებში პოზიტიურად შეფასდა შსს-ს მიერ განხორციელებული ღონისძიებები:

- რეადმისიის შესახებ შეთანხმების ეფექტიანი განხორციელება;
- საქართველოს ოპერატიული თანამშრომლობა ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან;
- ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით მიღწეული პროგრესი, როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო დონეზე;
- საპოლიციო თანამშრომლობის კუთხით პოლიციის ატაშეების როლი ევროკავშირის წევრ ქვეყნებში;
- სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის გაფორმებული შეთანხმებები.



2018 წლის 21 ნოემბერს პირველად გაიმართა ევროკომისიასა და საქართველოს მთავრობას შორის მაღალი დონის შეხვედრა. შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ **დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და სამოქალაქო დაცვის საკითხებში** არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებაზე. საქართველოს დელეგაციას მთავრობის სხვა წევრებთან ერთად წარმოდგენდა შს მინისტრის მოადგილე.

2019 წლის 12 ივლისს, ბათუმის საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში გამართულ სესიაზე - „მომავლის ინვესტიცია: განათლება და გადაადგილების შესაძლებლობები ახალგაზრდა თაობებისათვის“ მინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ უვიზო მიმოსვლის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ასოცირების შესახებ შეთანხმება და ასოცირების დღის წესრიგი

ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელების მიზნით, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის კოორდინაციით შემუშავდა ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმები 2017-2019 წლებისთვის. შსს-ს მიერ განხორციელებული **100-მდე აქტივობიდან** განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში **საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება;**
- საქართველოსა და ევროკავშირის ორმხრივი **საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) თანამშრომლობის ფარგლებში სამუშაო გეგმის განხორციელება;**
- საზღვრის მართვის საკითხებზე თანამშრომლობის გაღრმავება;
- ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით შესაძლებლობების გაძლიერება;
- 2018 წლის 13 ივლისს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურსა და ევროკომისიის სამოქალაქო უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული დახმარების გენერალურ დირექტორატს შორის, **ადმინისტრაციული შეთანხმების გაფორმება.**

2018 წელს ევროპარლამენტის რეზოლუციით **პირველად შეფასდა** საქართველოს მიერ ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში მიღწეული პროგრესი (2014-2018 წწ.). რეზოლუციაში დადებითად აისახა:

- თურქეთთან და აზერბაიჯანთან **სასაზღვრო სექტორების რეაბილიტაციის გაძლიერება;**
- **ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის განხორციელება;**
- **ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით ევროკავშირთან ეფექტიანი თანამშრომლობა.**



საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკა

2018 წელს, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ახალი პოლიტიკის დოკუმენტი „ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკა“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ევროკავშირთან საქართველოს მეტ პოლიტიკურ ასოცირებას და ეკონომიკურ ინტეგრაციას. შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურადაა ჩართული საგზაო რუკის განხორციელების პროცესში.

ევროპოლთან თანამშრომლობის განვითარება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2010 წელს გამოთქვა მზაობა, გამხდარიყო ევროპოლის სტრატეგიული პარტნიორი. აქტიური მუშაობის შედეგად 2017-2018 წლებში ხელი მოეწერა ევროპოლთან თანამშრომლობის განვითარებისთვის საჭირო ინსტრუმენტებს:



- „საქართველოს და ევროპის პოლიციის სამსახურს შორის **ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ**“ შეთანხმებას, რითაც საქართველო გახდა ევროპოლის სტრატეგიული და ოპერატიული პარტნიორი ქვეყანა;
- „საქართველოსა და ევროკავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის **უსაფრთხო კომუნიკაციის არხის თაობაზე**“ ურთიერთგაგების მემორანდუმს;
- „საქართველოსა და ევროკავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის **მეკავშირეობის შესახებ**“ შეთანხმებას.



2018 წლის 1-ელ სექტემბერს საქართველომ წარგზავნა პირველი მეკავშირე ოფიცერი ქ. ჰააგაში, ევროპოლის შტაბ-ბინაში.

2019 წლის აპრილიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ამოქმედდა ევროპოლის უსაფრთხო კომუნიკაციის არხი – SIENA. ასევე, 2019 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო განუვრიანდა ევროპოლის 2 ანალიტიკურ პროექტში (AP):

AP Furtum (საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული) და AP EEOC (აღმოსავლეთ ევროპული ორგანიზებული დანაშაული).

2017-2019 წლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს **აღმოსავლეთ პარტნიორობის** ფარგლებში დაგეგმილ 13 თემატურ/პანელურ შეხვედრაში.



2017 წელს შეხვედრები გაიმართა შემდეგ თემებზე:

- მიგრაციის მართვა და თავშესაფარი (2 შეხვედრა);
- საზღვრის ინტეგრირებული მართვა;
- ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (2 შეხვედრა);
- სამოქალაქო უსაფრთხოება.

2018 წელს შეხვედრები გაიმართა შემდეგ თემებზე:

- მმართველობა და საჯარო ადმინისტრირების რეფორმა;
- მიგრაცია, მობილობა და საზღვრის ინტეგრირებული მართვა (2 შეხვედრა);
- ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა და სამოქალაქო უსაფრთხოება.

2019 წელს შეხვედრები გაიმართა შემდეგ თემებზე:

- მიგრაცია, მობილობა და საზღვრის ინტეგრირებული მართვა;
- ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა და სამოქალაქო უსაფრთხოება (2 შეხვედრა).

2019 წელს აღინიშნა **„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ათი წლის იუბილე**. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ 2020 წლის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით მიმდინარე კონსულტაციების ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურადაა ჩართული ახალი ინიციატივების შემუშავებაში.

თანამშრომლობა ევროპული საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტოსთან (FRONTEX)



- 2017-2018 წლებში **Frontex-თან თანამშრომლობის** შემდგომი გაღრმავების მიზნით განხორციელდა მოლაპარაკებები **ახალი შეთანხმების ტექსტზე**. ევროკავშირის შიდა პროცედურების დასრულებისთანავე ხელი მოეწერება განახლებულ შეთანხმებას, რის საფუძველზეც ერთობლივი რისკების ანალიზზე დაყრდნობით, შემუშავდება ინფორმაციის მიმოცვლის მექანიზმი, ასევე, საქართველო გაააქტიურებს მონაწილეობას ერთობლივ და დაბრუნების ოპერაციებში.
- 2018 წელს **შსს-ს აკადემია გახდა FRONTEX-ის პარტნიორობის აკადემიის ქსელის (Partnership Academy) ასოცირებული წევრი**, რითაც კიდევ უფრო გაღრმავდება თანამშრომლობა ევროკავშირის წევრი ქვეყნების სასწავლო ინსტიტუტებთან. თანამშრომლობის ფარგლებში დაგეგმილი ერთობლივი ღონისძიებები (სწავლებები, გაცვლითი პროგრამები, კვლევები და ა.შ) ხელს შეუწყობს აკადემიის კურიკულუმის თავსებადობის გაზრდას ევროკავშირის წევრი ქვეყნების სასწავლო პროგრამებთან.
- 2019 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩაერთო **FRONTEX-ის საპაერო საზღვრებიდან მონაცემთა შეგროვების სისტემაში (FRONTEX Pulsar Data)**. აღნიშნული სისტემის მეშვეობით ხდება, არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული ინდიკატორების შესაბამისად, ინფორმაციის შეგროვება ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნებისა და მისი სამეზობლოს 100-ზე მეტი აეროპორტიდან.

ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაცია

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი უზრუნველყოფს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნატოსთან თანამშრომლობის შემდეგი მექანიზმებით აღებული ვალდებულებების განხორციელების კოორდინაციას:

- **წლიური ეროვნული პროგრამა (ANP);**
- **დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესი (PARP);**
- **ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP).**

დეპარტამენტი კოორდინაციას უწევს ნატოში ინტეგრაციის მიმართულებით მსს-ს მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან თანამშრომლობის შემდგომი გაძლიერების კუთხით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებას. შესაბამისად, ნატო-საქართველოს თანამშრომლობაში საზღვაო უსაფრთხოება ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. 2016 წლის ვარშავის სამიტზე ალიანსმა გადაწყვიტა გაეძლიერებინა სამხედრო განლაგება აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ფლანგებზე, ხოლო **2018 წლის ბრიუსელის ნატოს სამიტსა და თავდაცვის მინისტრიალზე** ხაზგასმით აღინიშნა შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში საქართველოსთან პრაქტიკული თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობა.



●● შავი ზღვის უსაფრთხოება პრიორიტეტულია როგორც ნატოსთვის ასევე საქართველოსთვის. ჩვენ ამ საკითხზე აქტიურად ვთანამშრომლობთ. კერძოდ, ნატოს სპეციალური დანაყოფები ატარებენ სხვადასხვა წვრთნებს საქართველოს სანაპირო დაცვასთან; ნატოს საზღვაო ძალები თანამშრომლობენ საქართველოს საზღვაო ძალებთან; სუფსის საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრი (JMOC) მჭიდროდ თანამშრომლობს და ოპერატიულად ცვლის ინფორმაციას ნატოს გაერთიანებულ საზღვაო სარდლობასთან (MARCOMO). ●●

იენს სტოლტენბერგი, 2018, ნატო-საქართველოს სხდომა, ნატოს თავდაცვის მინისტრიალი.



შავი ზღვის უსაფრთხოების სფეროში შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული როლიდან გამომდინარე, 2018 წელს გაიმართა შს მინისტრის და მისი მოადგილის შეხვედრები საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე **როუმ გოტემიოლერთან**, ნატოს გაერთიანებული საზღვაო ძალების სარდლის მოადგილე, ვიცე-ადმირალ **ერვი ბლეჟოსა** და თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვის საკითხებში ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწე, **ჯონათან პერიშთან**.

2019 წელი ასევე გამორჩეული იყო საქართველოში ნატოს მაღალი დონის წარმომადგენლების ვიზიტებით: ოფიციალური შეხვედრები გაიმართა ნატოს გენერალურ მდივანთან, **იენს სტოლტენბერგთან**, ნატოს გაერთიანებული ძალების სარდლობის და ევროპასა და აფრიკაში აშშ-ის საზღვაო ძალების მეთაურთან, **ადმირალ ჯეიმს ფოგოსთან** და თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვის საკითხებში ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწესთან, **ჯონათან პერიშთან**.



საქართველოს და ნატოს შორის შავი ზღვის რეგიონისა და საზღვაო უსაფრთხოების მიმართულებით თანამშრომლობის გაძლიერების მორიგი დადასტურებაა 2019 წელს საქართველოში **ჩრდილოატლანტიკური საბჭოს (North Atlantic Council - NAC) მე-5 ვიზიტი**, რომელიც ქ. ბათუმში პირველად გაიმართა. ვიზიტის ფარგლებში როუმ გოტემიოლერმა და დელეგაციის წევრებმა მოინახულეს სანაპირო დაცვის გემები და შეხვდნენ სანაპირო დაცვის აბორდაჟის ჯგუფს. ნატოს მხრიდან დადებითად შეფასდა სანაპირო დაცვის მიერ მიღწეული შედეგები და კიდევ ერთხელ გაღრმავების მნიშვნელობა შავი ზღვის უსაფრთხოების

აღინიშნა თანამშრომლობის მიმართულებით.

შსს აქტიურად არის ჩართული შავი ზღვის რეგიონის მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში:

- 2017 წლიდან გაიზარდა **ნატოს მუდმივმოქმედი შენაერთების საპორტო ვიზიტების ინტენსივობა საქართველოს საზღვაო სივრცეში;**
- 2017 წლიდან **სუფსის საზღვაო ოპერაციების ერთობლივი ცენტრი (Joint Maritime Operations Center)** საზღვაო ოპერაციების შესახებ ცვლის ინფორმაციას ნატოს ნაოსნობის ცენტრთან (NATO Shipping Centre);
- 2017 წლის 24 ნოემბერს შსს სასაზღვრო პოლიციასა და ნატოს გაერთიანებულ საზღვაო სარდლობას (MARCOM) შორის გაფორმდა ურთიერთგაგების შესახებ **ტაქტიკური მემორანდუმი ოპერაცია „ზღვის მცველში“ მონაწილეობასთან დაკავშირებით.** აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში შსს სამინისტრომ, 2019 წლის ივლისში, MARCOM-ში ახალი მეკავშირე ოფიცერი მიავლინა;
- სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ორი ჯგუფი **ჩართულია ოპერაციათა კონცეფციის შესაძლებლობების შეფასებისა და უკუკავშირის (OCC E&F) პროგრამაში;**
- 2019 წელს ნატოს ექსპერტთა მიერ დაინიშნა **საქართველოს პორტების უსაფრთხოების შეფასება.**



აშშ-ის მთავრობამ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტს „აილენდის“ კლასის ორი ხომალდი - „დიოსკურია“ და „ოჩამჩირე“ გადმოსცა.

2019 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნული ხომალდების დეკლარირება მოახდინა ნატოს შეიარაღებული ძალების რეზერვის შემადგენლობაში (NATO Pool of Forces). სერტიფიცირების პროცესის დასრულების შემდეგ ხომალდებს ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების (NRF) სტატუსი მიენიჭებათ.



2019 წლის აპრილში, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში მიავლინა **პირველი მეკავშირე ოფიცერი**, რომელიც ნატოს შესაბამის ინსტიტუტებთან კომუნიკაციისა და კოორდინაციის ხელშეწყობას, ასევე ინფორმაციის სწრაფ და ეფექტიან გაცვლას უზრუნველყოფს. ამასთანავე მეკავშირე ოფიცრის წარგზავნა ალიანსთან წარმატებული თანამშრომლობის კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა.

დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს ნატოს ადგილობრივ და საერთაშორისო პროგრამებთან. ნატო-საქართველოს **პროფესიული განვითარების პროგრამა (Professional Development Programme)** მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამინისტროს თანამშრომლების შესაძლებლობების განვითარების პროცესში. პროგრამის მხარდაჭერითა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის კოორდინაციით, 2018 წელს სამინისტროში დაინიშნა კრიტიკული ინფრასტრუქტურის სტრატეგიისა და სამინისტროს შიდა კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

დონორთა კოორდინაცია და პროექტების განხორციელება

დონორული დახმარების მოზიდვის მიზნით, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორ ორგანიზაციებთან და ქვეყნებთან. აღნიშნული დახმარება მიზნად ისახავს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსტიტუციონალური განვითარების მხარდაჭერას.

დონორული დაფინანსების მოზიდვის მიზნით ხორციელდება:

- შსს-ს საჭიროებების ანალიზი;
- საპროექტო განაცხადების მომზადება;
- დონორთა ყოველწლიური საკოორდინაციო კონფერენციის ორგანიზება;
- დონორ ორგანიზაციებთან და პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი თემატური შეხვედრების კოორდინაცია.

2017-2019 წლებში დონორ ორგანიზაციებთან და პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის შედეგად განხორციელდა მნიშვნელოვანი პროგრამები და პროექტები:

განხორციელებული პროექტები:

- ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა საქართველოს ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში II (EU) (2016 - 2017 წწ.) **800 000 ევრო;**
- საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სახმელეთო საზღვრის დაცვის კოორდინაციის გაუმჯობესება (EU) (2014-2017 წწ.) **5 360 000 ევრო;**
- საქართველოს მთავრობის შესაძლებლობების გაძლიერება საზღვრისა და მიგრაციის მართვის სფეროში (EU) (2013-2017 წწ.) **4 800 000 ევრო;**
- მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში ENIGMMA (EU) (2013-2017 წწ.) **4 800 000 ევრო;**
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პოლიციის სფეროში თანამშრომლობა (EU) (2014-2017 წწ.) **5 000 000 ევრო;**
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების შესაძლებლობების განვითარება საზღვრის ინტეგრირებული მართვის კუთხით EaP IBM CB (EU) (2014-2018 წწ.) **4 500 000 ევრო;**
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელშეწყობა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში (EU) (2016-2018 წწ.) **300 000 ევრო;**

- საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის აღჭურვა (EU) (2016-2017 წწ.) **3 200 000 ევრო;**
- Cybercrime@EAP II (EU (2015-2017 წწ.) **800 000 ევრო;**
- Cybercrime@EAP III (EU) (2015-2017 წწ.) **1 200 000 ევრო;**
- სასაზღვრო პოლიციის შესაძლებლობების განვითარება (US) (2015-2017 წწ.) **10 000 000 აშშ დოლარი;**
- კინოლოგია (US, EU) (2016-2017 წწ.) **1.500.000 ლარი.**

2018 წელს ინიცირებული მნიშვნელოვანი პროექტები

ტექნიკური დახმარების პროექტი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში - ევროკავშირის დაფინანსებით
 ბიუჯეტი: 2 მლნ. ევრო
 2018-2021 წწ.

საზოგადოებასა და პოლიციას შორის ნდობის დამყარება/აღდგენა
 ნიდერლანდების სამეფოს დაფინანსებით
 ბიუჯეტი: 100 000 ევრო
 2018-2019 წწ.

დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში, ევროკავშირის დაფინანსებით
 ბიუჯეტი: 2 მლნ. ევრო
 2018-2021 წწ.

მიმდინარე პროექტები:

- ევროკავშირის მხარდაჭერა საქართველოში სისხლის სამართლის პოლიტიკის, სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების განვითარებისთვის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მხარდაჭერა (EU) (2016-2020 წწ.) **2 250 000 ევრო;**
- საქართველოში საზღვრისა და მიგრაციის მართვის მდგრადობის უზრუნველყოფა SBMMG (EU) (2017-2020 წწ.) **4 000 000 ევრო;**
- მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში ENIGMMA II (EU) (2017-2020 წწ.) **4 000 000 ევრო;**
- ტექნიკური დახმარება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში (EU) (2018-2021 წწ.) **2 000 000 ევრო;**
- დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში (EU) (2018-2021 წწ.) **2 000 000 ევრო;**
- თავისუფლებააღკვეთილ პირთა ფსიქიკური ჯანდაცვის გაუმჯობესება საქართველოში (EU) (2018-2019 წწ.) **500 000 ევრო;**
- ევროკავშირის მხარდაჭერა ნარკოტიკებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში (EU) (2017-2020 წწ.) **12 000 000 ევრო;**
- სკოლის, საზოგადოებისა და პოლიციის თანამშრომლობის პროგრამა [SCOPE] (US) (2018-2019 წწ.) **500 000 აშშ დოლარი;**
- საზოგადოებასა და პოლიციას შორის ნდობის დამყარება/აღდგენა (Netherlands) (2018-2019) **100 000 ევრო;**
- საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია და ნარკოდანაშაულით გამონვეული ზიანის შემცირება SOROS (2019 წ.) **54 000 აშშ დოლარი;**
- კინოლოგიური სამსახურის შესაძლებლობების გაძლიერება (US) (2018-2019 წწ.) **150 000 ევრო;**
- სასაზღვრო პოლიციის შესაძლებლობების გაძლიერება (US) (2017-2019წწ.) **10 000 000 აშშ დოლარი;**
- პოლიციის საზოგადოებრივი საქმიანობა აჭარაში (ACPI) **105 000 აშშ დოლარი;**
- ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა (US) (2019) **500 000 აშშ დოლარი;**
- არასრულწლოვან და სრულწლოვან დაკავებულთა მხარდაჭერა (CoE) (2019) **600 000 ევრო;**
- კიბერდანაშაულთან ბრძოლისა და კიბერ-გამძლეობის პროექტი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (CyberEast) **4.2 მლნ. ევრო;**

2017-2019 წლებში მიმდინარე პროექტებისა და მოზიდული დახმარების საერთო ბიუჯეტი¹:

- 31.8 მლნ. ევრო
- 11.159 მლნ. აშშ დოლარი

2017-2019 წლებში განხორციელებული პროექტები ფარავდა შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- საგამოძიებო სისტემის რეფორმა;
- ადამიანის უფლებების დაცვა;
- საზღვრისა და მიგრაციის მართვა;
- ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა;
- კიბერდანაშაულთან ბრძოლა და სხვა.

პროგრამები და პროექტები ითვალისწინებს შემდეგი სახის დახმარებას:

- ტექნოლოგიური აღჭურვა;
- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სამართალდამცავთა შესაძლებლობების გაძლიერება.

2017-2019 წლებში განხორციელებული ტექნოლოგიური და ინფრასტრუქტურული კომპონენტი:


- 9 სასაზღვრო სექტორის ინფრასტრუქტურის განახლება;
- 4 სასაზღვრო სექტორზე ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემების ინსტალაცია;
- სახმელეთო საზღვრის დაცვის საკომუნიკაციო სისტემის და საშუალებების შესყიდვა;
- ნარკოდანაშაულის ექსპერტიზის გაძლიერება (გაზური ქრომატოგრაფი);
- კიბერდანაშაულთან ბრძოლის პროგრამული უზრუნველყოფა;
- საპოლიციო საქმიანობის მხარდაჭერა (540 პლანშეტური კომპიუტერი);
- საგზაო უსაფრთხოებისთვის მობილური რადარების გადმოცემა;
- კინოლოგიური სამსახურის განვითარება;
- რადიაციული საფრთხეების გამომწვევენი მობილური დეტექტორები და შესაბამისი აღჭურვილობა;
- სამგზავრო დოკუმენტების ინსპექტირებისათვის საჭირო აღჭურვილობა.

¹ აღნიშნული თანხა წარმოადგენს მიმდინარე პროექტების ჯამურ ბიუჯეტს და არა მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მოზიდულ დახმარებას.

სამართალდამცავთა შესაძლებლობების გაძლიერება

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მხარდაჭერით, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის ფარგლებში, სხვადასხვა თემატური მიმართულებით 2017-2019 წლებში გადამზადდა **5437 სამართალდამცავი**, მათ შორის მდედრობითი სქესის სამართალდამცავი - 1610, მამრობითი სქესის სამართალდამცავი - 3827.

გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა 2017-2019 წლებში



სამართალდამცველთა შესაძლებლობების გაძლიერება ხორციელდებოდა შემდეგი თემატური მიმართულებების მიხედვით:

- ადამიანის უფლებები;
- ბავშვთა უფლებები;
- ოჯახში ძალადობა;
- გამოძიების ტექნიკა;
- გენდერი;
- ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი);
- დანაშაულის პრევენცია;
- საზღვრის ინტეგრირებული მართვა;
- მიგრაციული პროცესების ეფექტიანი მართვა;
- კრიმინალისტიკა;
- ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა;
- კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა;
- ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა;
- საგზაო უსაფრთხოება;
- ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოება;
- მასების მართვა;
- ადამიანური რესურსების მართვა და სხვა.

საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის განვითარება

საერთაშორისო შეთანხმებებისა და თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება

2017-2019 წლები მნიშვნელოვანი იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესების კუთხით. აღნიშნულ პერიოდში სამინისტრომ გააფორმა **29** საერთაშორისო დოკუმენტი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო შეთანხმებებსა და თანამშრომლობის მემორანდუმებს აფორმებს შემდეგი 5 ძირითადი მიმართულებით:

- დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში/სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობა;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში თანამშრომლობა;
- უკანონოდ მყოფ პირთა რეადმისიის სფეროში თანამშრომლობა;
- სასაზღვრო თანამშრომლობა;
- მართვის მონშობების ურთიერთალიარება.

საერთაშორისო შეთანხმებები/მემორანდუმები 2017



ოქმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ბელარუსის რესპუბლიკის საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელთა სამუშაო კვლევის ფარგლებში მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე განზრახვლებების თაობაზე“



შეთანხმება „საქართველოს შთავრობასა და საბერძნეთის რესპუბლიკის შთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“



შეთანხმება „საქართველოს შთავრობასა და შვედეთის სამეფოს შთავრობას შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ“



ურთიერთგაგების მემორანდუმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტსა და იტალიის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს კარაბინიერთა კორპუსს შორის“



ოქმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ლატვიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის სასაზღვრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ 2009 წლის 8 დეკემბრის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;
ერთობლივი განცხადება „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და ლატვიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ევროპული მისწრაფებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“



ურთიერთგაგების მემორანდუმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ლიტვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტს შორის“
ერთობლივი განცხადება „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და ლიტვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ევროპული მისწრაფებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“



ერთობლივი განცხადება „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და ესტონეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ევროპული მისწრაფებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“



შეთანხმება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“



ერთობლივი განცხადება „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და უნგრეთის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის მოადგილეს შორის ევროპული მისწრაფებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“



შეთანხმება „საქართველოსა და ისლანდიას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“



შეთანხმება „საქართველოსა და ევროპის პოლიციის სამსახურს შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ“

საერთაშორისო შეთანხმებები/ მემორანდუმები 2018



ურთიერთგაგების მემორანდუმი „საქართველოსა და EUROPOL-ს შორის უსაფრთხო კომუნიკაციის არხის თაობაზე“



არსებული შეთანხმების პირველი დანართის ცვლილებაზე (გაიზარდა EUROPOL-ის მანდატი/მხარეებს შორის თანამშრომლობის სფეროები/დანაშაულების ჩამონათვალი)



შეთანხმება „საქართველოსა და EUROPOL-ს შორის მეკავშირეობის შესახებ“



ურთიერთგაგების მემორანდუმი „საპოლიციო თანამშრომლობის გაძლიერების თაობაზე“



ერთობლივი განცხადება „დანაშაულის, განსაკუთრებით კი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ზომების შემდგომი გაძლიერების შესახებ“



ურთიერთგაგების მემორანდუმი „საპოლიციო თანამშრომლობის შესახებ“



შეთანხმება “ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში სპეციალისტების ერთობლივი ჯგუფის შექმნის თაობაზე“



მემორანდუმი „სასაზღვრო უსაფრთხოების გაძლიერების შესახებ“



მთავრობათაშორისი შეთანხმების განხორციელების ოქმი „ევროკავშირისა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“



შეთანხმება „სასაზღვრო წარმომადგენელთა საქმიანობის შესახებ“

საერთაშორისო შეთანხმებები/ მემორანდუმები 2019



განზრახვის წერილი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და კატარის სახელმწიფოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ“



შეთანხმება „ საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის დანაშაულთან ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“



შეთანხმება „საქართველოს ვიცე-პრემიერს, შინაგან საქმეთა მინისტრსა და საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ოპერატიული საპოლიციო თანამშრომლობის გაძლიერებისა და საფრანგეთში მივლენილი ქართველი პოლიციელების მიღების შესახებ“



ოქმი „ საქართველოს მთავრობასა და ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის თაობაზე“



შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და უნგრეთის მთავრობას შორის საგანგებო სიტუაციების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“



ერთობლივი დეკლარაცია „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შვეიცარიის იუსტიციისა და პოლიციის ფედერალურ დეპარტამენტს შორის მიგრაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“

**საერთაშორისო შეთანხმებები/მემორანდუმები მომზადებული
ხელმოსაწერად/მოლაპარაკების პროცესში**

მემორანდუმები/შეთანხმებები თანამშრომლობის შესახებ	რეადმისია	მართვის მონშობების ურთიერთალიარება	საგანგებო სიტუაციები
<p>ბელგია, ისლანდია, ფინეთი, ლუქსემბურგი, ალბანეთი, სერბეთი, ესპანეთი (სამოქალაქო გვარდია და ეროვნული პოლიცია), არაბთა გაერთიანებული საემიროები, ირანი, იორდანია, პაკისტანი პორტუგალია, უკრაინა (ერთობლივი განცხადება), სლოვენია, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალია, ბავარია, მეკლენბურგი-წინა პომერანია, ტაჯიკეთი, კვიპროსი, ბრაზილია, ინდოეთი</p>	<p>ლატვია, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, შრი-ლანკა, დიდი ბრიტანეთის და ჩრდ. ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, უზბეკეთი, ყირგიზეთი, სერბეთი სომხეთი, მონტენეგრო, პაკისტანი</p>	<p>ესპანეთი, იტალია</p>	<p>ავსტრია, რუმინეთი</p>

ორმხრივი არაოპერატიული თანამშრომლობა

2017-2019 წლებში შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ დაიგეგმა და ჩატარდა 43 სამუშაო შეხვედრა და ექსპერტული ვიზიტი სხვადასხვა მიმართულებით.

სამუშაო და ექსპერტული ვიზიტები 2017-2019

43 სამუშაო და ექსპერტული ვიზიტი

სახელმწიფოები:

შვედეთის ეროვნული პოლიციის დელეგაციის ვიზიტი შსს დანაყოფებში

მოლდოვას შსს-ს დელეგაციის ვიზიტი შსს დანაყოფებში

კანადის სასაზღვრო სამსახურის მეკავშირე ოფიცრის ვიზიტი შსს დანაყოფებში

ლიეტუვას ეროვნული პოლიციის ვიზიტი შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში

იორდანის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჟანდარმერიის დელეგაციის ვიზიტი შსს-ში

შსს-სა და **თურქეთის ეროვნულ** პოლიციას შორის ერთობლივი კომისიის შეხვედრა

უკრაინის ინფრასტრუქტურის სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი შსს დანაყოფებში

მონღოლეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის დელეგაციის ვიზიტი სსიპ საქ. შსს მომსახურების სააგენტოში

ყაზახეთის იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელთა ვიზიტი შსს დანაყოფებში

ფინეთის რესპუბლიკის ეროვნული პოლიციის და მისი გამოძიების ეროვნული ბიუროს დელეგაციის ვიზიტი შსს დანაყოფებში

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) შეხვედრა შსს აკადემიაში

ტაჯიკეთის შსს სამინისტროსა და ეუთოს დელეგაციის ვიზიტი შსს დანაყოფებში და სხვ.

თემატური მიმართულებები:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურა და ფუნქციები

საპოლიციო სფეროში არსებული მიღწევები

საქართველოს გამოცდილების გაზიარება ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების მიმართულებით და სხვ.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ სხვადასხვა თემატური მიმართულებით ჩატარდა **16** კვლევა და დამუშავდა **40** ანგარიში/კითხვარი.

წარდგენილი ანგარიშები, მოძიებული საუკეთესო გამოცდილება 2017-2019

40 ანგარიში/ კითხვარი

- UNODC;
- CTED;
- HONLEA;
- ECRI,
- OPCW;
- ICCPR;
- ICESCR;
- JFCNM;
- CPT;
- CERD;
- CDDH;
- UPR;
- OPCW;
- INCB;
- US Department of State Country Report on Terrorism;
- US Department of State Country Report on Human Rights Practices;
- US Department of State Trafficking in Persons Report;
- US Department of State International Narcotics Control Strategy Report;
- OSCE POLIS Online Information System;
- COE Assembly on the Rights of the Child;
- Country Report for Mini-Dublin Groups;
- International Narcotics Control Board;
- European Committee of Social Rights etc.
- UN Committees and Special Rapporteurs;

16 კვლევა

- **ლიეტუვას, მოლდოვის, ავსტრიისა და სერბეთის** გამოცდილება ოპერატიულ საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის დანაყოფების (ILECU) თაობაზე; შედეგად აპრილის თვეში შეიქმნა სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი;
- ევროპული ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა:
 - ცივი იარაღის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით.
 - საგზაო მოძრაობის წესებისა და ჯარიმების შესახებ.
- სასაზღვრო წარმომადგენლების სისტემა;
- გასამხედროებული/ნახევრად სამხედრო დანაყოფები (ამოცანები, სტრუქტურა);
- სპორტული ღონისძიებების დროს უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხების მარეგულირებელი კანონმდებლობა და წესები;
- საერთაშორისო ოპერატიულ თანამშრომლობაზე პასუხისმგებელი დანაყოფის სტრუქტურა, თანამშრომელთა რაოდენობა და ფუნქციები.
- საერთაშორისო პრაქტიკა სამართალდამცავთა მიერ სპეციალური საშუალებების/ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით;
- ევროკავშირის სახელმწიფოებში უკანონო შესვლასა და ყოფნასთან დაკავშირებული სანქციები;
- საერთაშორისო პრაქტიკა ჯანდაცვის სფეროში თაღლითობის გამოვლენისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;
- ევროკავშირის რეგულაციები ავიაკომპანიების მიერ მგზავრთა გადაყვანასთან დაკავშირებით;
- კვლევა საერთაშორისო საპოლიციო ორგანიზაციებისა და მათში განწევრიანების პირობების შესახებ და სხვ.


საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის საერთაშორისო შეხვედრები და ვიზიტები

2017-2019 წლებში არაერთი მაღალი დონის შეხვედრა და ვიზიტი განხორციელდა, რამაც ხელი შეუწყო საერთაშორისო ურთიერთობების გაძლიერებას, არსებული თანამშრომლობის გაღრმავებას და სამომავლო სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრას.

მაღალი დონის საერთაშორისო ვიზიტები და შეხვედრები 2017

ვიზიტები (3 ვიზიტი)

საერთაშორისო შეხვედრები (12 შეხვედრა)



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის საერთაშორისო შეხვედრები და ვიზიტები

მაღალი დონის საერთაშორისო ვიზიტები და შეხვედრები 2018

ვიზიტები (14 ვიზიტი)

საერთაშორისო შეხვედრები (10 შეხვედრა)

იან.	თებ.	მარ.	აპრ.	მაის.	ივნ.	ივლ.	აგვ.	სექტ.	ოქტ.	ნოვ.	დეკ.
ავსტრია	ნიდერლანდები EUROPOL		ლიეტუვა		ბრაზილიის იუსტიციისა და სამოგადობრივი უსაფრთხოების მინისტრი		საფრანგეთი		უკრაინა		შს მინისტრის მოადგილის ვიზიტი ბელგიაში (ევროკომისია)
გერმანია	შვედეთი		ესპანეთის შსს ეროვნული პოლიციის გენ. კომისარი			აშშ		ფიჯის თავდაცვისა და უსაფრთხოების მინისტრი			
ინდონეზია	თურქეთის შს მინისტრი		ბელგია JFS		ბელგიის მიგრაციის სახ. მდივანი		იტალიის საგა- რეო საქმეთა მინისტრი	CPT CoE		საფრანგეთი, სტრასბურგი	
თურქეთის ეროვნული პოლიციის უფროსი			გერმანიის რაინ- ლანდ-ჰვალცის ფედ.მინის შს			გერმანია შს მინისტრის მო- ადგილე		რუმინეთის შს სამინისტროს სახელმწიფო მდ- ივანი			
			გერმანია					შს მინისტრის მოადგილის ვიზიტი აშშ (უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფი)			

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის საერთაშორისო შეხვედრები და ვიზიტები

მაღალი დონის საერთაშორისო ვიზიტები და შეხვედრები 2019

ვიზიტები (4 ვიზიტი)

საერთაშორისო შეხვედრები (9 შეხვედრა)

იან.	თებ.	მარ.	აპრ.	მაის.	ივნ.	ივლ.	აგვ.	სექტ.	ოქტ.	ნოვ.	დეკ.
კატარი		ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის (EEAS) გენ. მდივნის მოადგილე	ევროკომისიის საშინაო საქმეთა და მოქალაქეობის საკითხებში გენ. დირექტორის მოადგილე		პოლონეთის რესპუბლიკის ეროვნული პოლიციის უფროსი		შვეიცარიის კონფედერაციის მიგრაციის სახელმწიფო მდივანი		აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა მინისტრი		შვედეთის სამეფოს იუსტიციისა და მიგრაციის მინისტრის მოადგილე
თურქეთის რესპუბლიკა			საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრი		გერმანიის ჰესენის ფედერალური შინაგან საქმეთა და სპორტის მინისტრი		ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტი				საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრი
			საფრანგეთის თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების გენ. მდივნის მოადგილე								

შეხვედრა აშშ გამოძიების ფედერალური ბიუროს ხელმძღვანელთან, კრისტოფერ რეისთან.

შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა ისაუბრეს ორი ქვეყნის სამართალდამცავი უწყებების თანამშრომლობის მნიშვნელობაზე და დასახეს სამომავლო თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები. მათ შორის განიხილეს შსს-ს გამოძიების ხარისხის გაუმჯობესებისა და ქართველი პოლიციელების ფედერალური ბიუროს აკადემიაში სწავლების შესაძლებლობა.



შეხვედრა აშშ-ს სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) ხელმძღვანელთან, კირსტენ მედისონთან.

შეხვედრაზე განიხილეს სამინისტროში მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმები, ასევე, კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი INL-სა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის არსებულ მყარ თანამშრომლობას.



შეხვედრა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ექსპორტის კონტროლი-
სა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის ხელმძღვანელთან ფილიპ
დოლიფთან.

შეხვედრაზე აქცენტი გაკეთდა აშშ-სთან თანამშრომლობის მნიშვნელ-
ობაზე და საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის შესა-
ძლებლობების შემდგომ განვითარებაზე.



შეხვედრა ევროპოლის აღმასრულებელ დირექტორთან, რომ უეინრაითთან.

ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა „საქართველოსა და ევროკავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის უსაფრთხო კომუნიკაციის არხის თაობაზე“ ურთიერთგაგების მემორანდუმს და „საქართველოსა და ევროკავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის მეკავშირეობის შესახებ“ შეთანხმებას, რის საფუძველზეც, საქართველოს მიეცა ევროპოლის შტაბ-ბინაში მეკავშირე ოფიცრის წარგზავნის შესაძლებლობა.



შეხვედრა საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრთან, ჟერარ კოლომბთან.

ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ შეთანხმებას. შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საფრანგეთის რესპუბლიკის სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებულ ეფექტიან საპოლიციო თანამშრომლობაზე ისაუბრეს და განსაკუთრებულად აღნიშნეს ქვეყნებს შორის უკანონოდ მყოფ პირთა რეადმისიის საკითხებში არსებული მიღწევები.



შეხვედრა გერმანიის შინაგან საქმეთა, მშენებლობისა და სამშობლოს საკითხთა ფედერალურ მინისტრთან, ჰორსტ ზეჰპოფერთან.

შეხვედრის ფარგლებში, აღინიშნა რომ გერმანიაში თავშესაფრის მადიებელთა კლების პოზიტიური დინამიკა ფიქსირდება. მხარეებმა ხაზი გაუსვეს საქართველოს შსს-სა და გერმანიის სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებულ ეფექტიან საპოლიციო თანამშრომლობას, როგორც ოპერატიული, ისე არაოპერატიული მიმართულებით.



შეხვედრა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილესთან, გაბრიელა ბატტაინი დრაგონისთან.

სტრასბურგში ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრები გაიმართა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილესთან, გაბრიელა ბატტაინი დრაგონისთან, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალურ მდივანთან, ვოჩიეკ სავიციკისთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტთან, გუილო რაიშონდისთან, ვენეციის კომისიის მდივანთან ტომას მარკვერტთან და ადამიანის უფლებათა კომისართან დუნია მიატოვიჩთან. სამუშაო ვიზიტის მიზანი ევროპული პარტნიორობისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე რეფორმების, „სისტემური განახლების“ კონცეფციის გაცნობა იყო.



შეხვედრა ლიეტუვას შინაგან საქმეთა მინისტრთან, ეიმუტის მისიუნასთან.

მხარეებმა განიხილეს ქვეყნებს შორის საპოლიციო სფეროში არსებული თანამშრომლობა, მათ შორის ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული საკითხები.



შეხვედრა შვედეთის სამეფოს იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრთან, მორგან იოჰანსონთან.

ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა „საქართველოს მთავრობასა და შვედეთის სამეფოს მთავრობას შორის დანაშაულის და განსაკუთრებით საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემდგომი გაძლიერების შესახებ“ ერთობლივ განცხადებას. მხარეებმა აღნიშნეს საქართველოს შსს-სა და შვედეთის სამეფოს სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებული ეფექტიანი ოპერატიული თანამშრომლობა. შვედეთის იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის გადახედვა პოლიტიკურ დღის წესრიგში არ დგას.



შეხვედრა თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრთან, სულეიმან სოილუსთან.

შეხვედრის ფარგლებში ხელი მოეწერა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის სასაზღვრო უსაფრთხოების გაძლიერების შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმს. მემორანდუმის ფარგლებში, მხარეებს შესაძლებლობა ეძლევათ, გააღრმავონ ორმხრივი თანამშრომლობა ორგანიზებული ტრანსსასაზღვრო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და ორივე ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცების მიმართულებით.



შეხვედრა შვეიცარიის კონფედერაციის მიგრაციის სახელმწიფო მდივანთან, მარიო გატიკერთან.

შეხვედრის ფარგლებში ხელი მოეწერა ერთობლივ დეკლარაციას „მიგრაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“. მხარეებმა განიხილეს საქართველოს მოქალაქეების ევროკავშირში/შენგენის სივრცეში უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებული მიმდინარე საკითხები. ვახტანგ გომელაურმა სტუმარს მადლობა გადაუხადა შვეიცარიის კონფედერაციის მთავრობის მიერ საქართველოს უსაფრთხო ქვეყნად აღიარებისთვის.




შეხვედრა აზერბაიჯანის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრთან, ვილაიათ ეივაზოვთან.

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს სამთავრობო დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში, შედგა შეხვედრა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და აზერბაიჯანელ კოლეგას შორის, რომლის ფარგლებშიც მხარეებმა განიხილეს ორი ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობა და საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში არსებული მიღწევები.



შეხვედრა საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრთან, კრისტოფ კასტანერთან.

საფრანგეთში ვიზიტის ფარგლებში გაიმართა ორმხრივი შეხვედრა ვახტანგ გომეაღურსა და საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს, კრისტოფ კასტანერს შორის. შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა ისაუბრეს სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შემდგომ გაძლიერებასა და ევროკავშირთან უკიზო მიმოსვლის გამონწვევების საპასუხოდ ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვაზე.



შეხვედრა შვედეთის სამეფოს იუსტიციისა და მიგრაციის მინისტრის მოადგილესთან, ლარს ვესტბრატთან.

შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური შვედეთის სამეფოს იუსტიციისა და მიგრაციის მინისტრის მოადგილეს, სახელმწიფო მდივანს ლარს ვესტბრატს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა შვედეთის სამეფოსთან სამართალდაცვით სფეროში არსებული წარმატებული თანამშრომლობა განიხილეს და მზადყოფნა გამოთქვეს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავებაზე.



პროგრამები/პროექტები

ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა უსაფრთხოების სექტორისთვის - EU4 Security, Accountability and Fight against Crime in Georgia (SAFE). პროგრამა დაიგეგმა 2018 წლის დასაწყისში ევროკომისიისა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის შემფასებელი მისიის ვიზიტების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებდა სამომავლო დახმარების განსაზღვრის მიზნით შსს პრიორიტეტული მიმართულებებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებას. პროგრამა ითვალისწინებს 28 მლნ ევროს კონტრიბუციას უსაფრთხოების სექტორში მიმდინარე რეფორმების მხარდასაჭერად. პროგრამის ნაწილი დაეთმობა შსს-ს შესაძლებლობების განვითარებას დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, საზღვრის ინტეგრირებული მართვის, კიბერდანაშაულთან და ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის, საგანგებო სიტუაციების მართვის, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებით.

პროექტებისა და პროგრამების ფარგლებში თანამშრომლობა ხორციელდება შემდეგ ორგანიზაციებსა და პარტნიორ ქვეყნებთან:

- ევროკავშირი;
- ევროპის საბჭო;
- საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტო;
- ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია;
- ნატო-ს პროფესიული განვითარების პროგრამა;
- აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი;
- აშშ თავდაცვის დეპარტამენტი;

- აშშ ენერჯეტიკის დეპარტამენტი;
- აშშ იუსტიციის დეპარტამენტი;
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
- მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი;
- გაეროს განვითარების პროგრამა;
- გაეროს ქალთა ორგანიზაცია;
- გაეროს ბავშვთა ფონდი;
- გაეროს მოსახლეობის ფონდი;
- გაეროს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი;
- გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი;
- PH- International - პროექტ ჰარმონიის ფილიალი საქართველოში;
- საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრი;
- ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი;
- ევროკავშირის ნევრი და სხვა ქვეყნები.

დეპარტამენტის მხარდაჭერით 2017-2019 წლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობები/ღონისძიებები:

2017-2019 წწ. მარტი - ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია „ქალები პოლიციაში“, საქართველოს შს სამინისტროსა და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) თანამშრომლობის ერთობლივი ორგანიზებით. ღონისძიება მიზნად ისახავდა ქალი სამართალდამცველების კვალიფიკაციის ამაღლებას, პოლიციაში ქალის როლის წარმოჩენას და მათი მოტივაციის ამაღლებას. კონფერენციას ესწრებოდნენ ქალი პოლიციელები ცენტრალური აზიის, აღმოსავლეთ ევროპის, აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ბალკანეთის ქვეყნების სამართალდამცავი უწყებებიდან;

- **2017 წლის 11-13 ივლისი** – საერთაშორისო კონფერენცია „ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა - გზა უფრო გონიერი პოლიციისკენ“. კონფერენციის მიზანი იყო ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის სხვადასხვა მოდელის გაცნობა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, ასევე, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის ქართული მოდელის მიღწევების წარდგენა. კონფერენციას 70-მდე მონაწილე დაესწრო. დელეგატებს შორის იყვნენ ევროპოლის, დიდი ბრიტანეთის, ავსტრიის, გერმანიისა და შვედეთის წამყვანი ექსპერტები.
- **2017 წლის 14-15 სექტემბერი** - სამუშაო შეხვედრა თემაზე „**ადრეული გაფრთხილების სისტემების განვითარება საქართველოში**“. ღონისძიების ფარგლებში ევროკავშირის წევრი ქვეყნების ექსპერტებმა ქართულ მხარეს გაუზიარეს საუკეთესო პრაქტიკა და მისცეს შესაბამისი რეკომენდაციები ადრეული გაფრთხილების სისტემების დანერგვასთან დაკავშირებით. კონფერენციის ფარგლებში განხილულ იქნა საქართველოს „ადრეული გაფრთხილების სისტემის“ კონცეფციის სამუშაო ვერსია;



ღონორთა ყოველწლიური საკოორდინაციო კონფერენცია


- **2018-2019 წწ. - დონორთა ყოველწლიური საკოორდინაციო კონფერენცია** - მიზნად ისახავს სამინისტროში ინიცირებული და დაგეგმილი რეფორმების გაცნობას, დონორი ორგანიზაციების, პარტნიორი სახელმწიფოებისა და სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და არსებული საჭიროებათა ანალიზის წარდგენას სამომავლო დაფინანსების მოპოვების მიზნით. ღონისძიებას ესწრებიან საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები;
- **2018 წლის 6-7 დეკემბერი - პოლიციის ატაშეების ფორუმი** - ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის გაღრმავება და პოლიციის ატაშეების ქსელის გაძლიერება, ასევე ევროკავშირის წევრი ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების გაზიარება. ფორუმს ესწრებოდნენ საქართველოში აკრედიტირებული პოლიციის ატაშეები და ევროპის პოლიციის სამსახურის (ევროპოლი) წარმომადგენლები. აღნიშნული ფორმატი მნიშვნელოვანია პარტნიორ ქვეყნებთან როგორც თანამშრომლობის გაღრმავების, ასევე სამინისტროში მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისთვის;
- **2019 წლის 10-13 თებერვალი** - შედგა შს სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი ისრაელის სახელმწიფოში. გაიმართა ერთობლივი სამუშაო ჯგუფის II შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორმა. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ისრაელის საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროსთან საუკეთესო გამოცდილების გაზიარება ორგანიზებულ დანაშაულთან, არალეგალურ მიგრაციასთან, დოკუმენტების უსაფრთხოებასთან, კიბერდანაშაულთან ბრძოლის, ასევე საზღვრის მართვისა და ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის პატრულირების სფეროში;

- **2019 წლის სექტემბერი** - საფრანგეთის რესპუბლიკაში წარიგზავნა 3 ქართველი პოლიციელი. აღნიშნული მივლენა განხორციელდა 2 ქვეყნის შს მინისტრებს შორის გაფორმებული ადმინისტრაციული შეთანხმების ფარგლებში. ქართველი პოლიციელები ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებს ეხმარებიან ქართული წარმოშობის ორგანიზებულ დანაშაულთან და არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლაში;
- **2019 წლის 2 დეკემბერი** - შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორმა მონაწილეობა მიიღო ე. პარიზში, „დიმიტრი ამილახვარის სახელობის ქართულ-ფრანგული დიალოგის“ ფარგლებში გამართულ შიდა უსაფრთხოებისა და მიგრაციის სამუშაო შეხვედრაში. დიალოგი თანამშრომლობის უნიკალურ ფორმატს წარმოადგენს, რომელიც საქართველოსა და საფრანგეთს შორის ორმხრივი ურთიერთობების მთავარ ასპექტებს მოიცავს და საერთო ინტერესების სფეროში შემაჯავალ ყველა საკითხზე თანამშრომლობის გაძლიერებას ემსახურება.
- **2019 წლის 6 დეკემბერი** - საქართველო-აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორობის კომისიის ფარგლებში გაიმართა უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო შსს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორმა. შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა სამინისტროში განხორციელებული რეფორმები, საჭიროებები და პრიორიტეტული მიმართულებები, ასევე, საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობასთან დაკავშირებული საკითხები.



საქართველოს და საფრანგეთის შინაგან საქმეთა
მინისტრების შეხვედრა წარგზავნილ ქართველ
პოლიციელებთან.

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის განხორციელება



დანაშაულის ეფექტიანად პრევენციისა და მოსახლეობასთან პარტნიორობის გაღრმავების მიზნით, სამინისტრომ დაიწყო საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელის განვითარება. ამ მიზნით, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის კოორდინაციით და ჩართულობით გადაიდგა არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, მათ შორის:

- მოხდა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება;
- შემუშავდა საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის ქართული მოდელი და შეიქმნა მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი;
- განვითარდა მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის შესაძლებლობები.

2019 წელს, საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის თანამშრომლობით დაიწყო პროექტის „პოლიციასა და საზოგადოებას შორის ნდობის გამყარება“ განხორციელება. პროექტის მიზანია მოსახლეობასა და პოლიციას შორის თანამშრომლობის გაღრმავება და მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.



ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა

2016-2017 წლებში საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი ასრულებდა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განხორციელების სამუშაო ჯგუფის სამდივნოს ფუნქციას. მოცემულ პერიოდში სამდივნო ახორციელებდა სამუშაო ჯგუფის და 2016 წელს დაწყებული საპილოტე პროექტის მუშაობის ხელშეწყობას, სამდივნოს მხარდაჭერით მოხდა შესაბამისი სამართლებრივი მასალების მომზადება, ანალიტიკოსთა შერჩევა და გადამზადების უზრუნველყოფა. გადამზადების პროცესს უძღვებოდნენ ექსპერტები ავსტრიიდან და დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოდან.

- **სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის შექმნა** სამართალდაცვით სფეროში ოპერატიული საერთაშორისო თანამშრომლობის კოორდინაციისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ მომზადდა წინადადებები შსს-ში სამართალდაცვით სფეროში ოპერატიულ საერთაშორისო თანამშრომლობაზე პასუხისმგებელი ერთიანი დანაყოფის შექმნის თაობაზე. ამ მიზნით დეპარტამენტის მიერ შესწავლილ იქნა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და ევროპოლის ოპერატიული პარტნიორი ქვეყნების (კერძოდ, ლიეტუვის, ავსტრიის, სერბეთისა და მოლდოვას) ანალოგიური სამსახურების საუკეთესო პრაქტიკა.

2018 წლის აპრილში შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში არსებული საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის ცენტრი გარდაიქმნა სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრად. შედეგად ოპერატიულ საერთაშორისო თანამშრომლობაზე პასუხისმგებელი ყველა დანაყოფი გაერთიანდა ერთ ცენტრში.

- **მგზავრთა მონაცემების ავტომატური გაცვლის სისტემის (API/PNR) შექმნის მიზნით,** მიმდინარეობს აქტიური მუშაობა პარტნიორ სახელმწიფო უწყებებთან და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM). სისტემა მიზნად ისახავს ტერორიზმის, სხვა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის პრევენციის, გამოვლენის, გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის ხელშეწყობას, ასევე, სასაზღვრო კონტროლის გაუმჯობესებასა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლას. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი უზრუნველყოფს აღნიშნული საკითხის იმპლემენტაციას/კოორდინაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარგლებში;
- **მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის** შექმნის მიზნით, სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს სხვა სახელმწიფო უწყებებთან და გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP). UNDP სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად ახორციელებს შესაბამის პროექტს, რომელიც ითვალისწინებს კლიმატის რისკის შემცირებასა და კონკრეტულ შედეგებზე ორიენტირებული, მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის (MHEWS) განვითარებას. პროექტი მიზნად ისახავს ასევე კლიმატის რისკის შესახებ კრიტიკული ინფორმაციის გავრცელებას, რათა შესაძლებელი გახდეს რისკის შემცირების პოლიტიკის გატარება მთელი ქვეყნის მასშტაბით;

- **სისხლის სამართლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა** განსაზღვრავს საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკის/ რეფორმის ძირითად მიმართულებებს და მიზნად ისახავს სისხლის სამართლის სფეროში არსებული გამონწვევების საპასუხო ღონისძიებების გატარებას. რეფორმაში ჩართულია ყველა სამართალდამცავი უწყება, ასევე სახალხო დამცველის აპარატი და შესაბამისი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები;
- **სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის** ფარგლებში ყოველწლიურად განახლდება პოლიციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომლის კოორდინაციასაც მსს-ში უზრუნველყოფს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი. ამასთან, ყოველწლიურად ტარდება სამუშაო ჯგუფის შეხვედრები საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლების მონაწილეობით.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და კომპანია ICE და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.



**შსს საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტი**